საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვარაზვარდი

ვარაზვარდი, კამბეჩოვანის მთავარი VI ს. II ნახევარში. სუმბატ დავითის ძის (XI ს.) ქრონიკაში დაცული ცნობების მიხედვით, ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი. ვ-ის დროს კამბეჩოვანი (ისტ. ჰერეთის ერთ-ერთი პროვინცია) ცალკე „ქვეყანას", დამოუკიდებელ ფეოდ. სენიორიას წარმოადგენდა. მისი ცენტრი იყო ხორნაბუჯში. ვ-მა ისარგებლა ირანელთა ბატონობით გამოწვეული უკმაყოფილებით თავისი ძმის (ასამის) დახმარებითა და შემწეობით, „გარდაუქცია ერი" შაჰის ირანელ მოხელეს ვეზან ხორნაბუჯის ერისთავს, მოკლა იგი, დაიპყრო კამბეჩოვანი და თვითონ გამთავრდა.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი